

# დ რ თ ე ბ

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 41.

კვირა, 21 თებერვალი 1910 წ.

დამატების № 8

### დ ი ლ ა

—:—



დაღვრემილა  
ზამთრის დილა,  
მოდუ შულა, მიბნედილა.  
ტყე-მთა-ბარი,  
ბალ-ბუჩქნარი  
თოვლის ფიფქით შემოსილა!

\* \*

საოცნებო ბალ-ხეხილი  
გაძარცულა... აღარ ჰყვავის,  
ნაცვლად ცივი ქარ-ტეხილი  
დანაფარდობს, ყივის, ჩხავის!..

\* \*

არსაიდან გამოსქვივის  
საიმედო შუქ-ნათელი,  
ცა კრემლს აფრქვევს, ჰგლოვობს,  
ჩივის, ახალგაზრდა დედა, — ქანდაკება როდენისა.  
ნისლს შთაუნთქავს მთლად სოფელი.



დაღვრემილა  
ზამთრის დილა,  
თოვლის ფიფქით შემოსილა...  
მაგრამ ჩემთვის ასე მტკბარი  
არასოდეს არ ყოფილა!..

ი. გრიშაშვილი.

### ო ბ ო ლ ი

—:—

დააზრო ხელი სიობლემ,  
გამთბარი დედის უბეში,  
ჩამოიარა სიკვდილმა,  
წაილო ჩემი ნუგეში.  
ნეტა ვხედავდე, საბრალო,  
სიკვდილის იქით ქვეყანას,  
იქ არის ჩემი დედილო,  
იქ მღერის გრძნობით ტკბილუნანას.

ი. მჭედლიშვილი.

### მაგრამ ნუ გზმრათ!

არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს  
და ისევე გაიდვიძებს.

აკაკი

ცისა კამარა დაუბურავს შავსა ღრუბელსა,  
წყვდიადი ბნელი სულ მხუთავად ჩამოწოლილა,  
ძაბა გლოვისა წამოუხსნავს ზურმუხტსა ველსა,  
წყნარი ნიავიც დაუცხრომელ გრიგლად შექმნილა.

—:—

გამკრალა მზისა შუქის მფრქვევი ნათელი სხივი,  
ვარდის წალკოტი ყვავ-ყორანთა ბინად ქცეულა  
და კაცის გულიც ქვადა ქმნილა—ცივია, ცივი;  
სულის სიდრემში იმედიც კი გამოლგეულა.

მაგრამ ნუ გჯერათ, რომ წყვდიადმა დიდხანს იმეფოს,  
ბიწიერებამ ფეხ ქვეშ სთელოს უმანკოება:  
შავი ყორანი ვერ გასჯიჯგნის ვარდს ნაზად მღიმარს  
და ვერც ჩაჰქრება დიდებული კაცთ სათნოება!


—:—

ლამეს დღე მოსდევს, წყვდიადს სხივი ნათელი მზისა  
და ამ ზამთარსაც თან მოჰყვება ტურფა ზაფხული;  
ცა იგრიალეებს, ბნელეთის მცველთ დასცემს თავზარსა,  
გაჰქრება ბნელი ამ ქვეყანად დამყარებული!

—:—

კვლავ აჰყვავდება წყაროს პირას ნაზი სუმბული,  
ვარდს შვების ცრემლი ციურ ნამად დაეპკურება;  
ბუჩქში დაუსტვენს გრძნობით სავეგი მაყრულს ბულბული  
და ხმა საამო ობოლ წალკოტს მოეფინება.

ს. ფაშალიშვილი.





# „სოლომონ ბრძენის სურათი“

(გადმოცემა)

## I.

სოლომონ ბრძენი, მეფე ურიათა, ღრმად ჩაფიქრებულ იჯდა თავის დიდებულ დარბაზში; მდიდრული მორთულობა და მრავალ ფერად ჩუქურთმებით შემკულ სვეტები და კედლები დარბაზისა, აგრეთვე გამოკრულნი მონანი, მის სურვილთა აღმსრულებლნი, მისთვის თითქოს არ არსებობდნენ,—მის ყურადღებას არ იზიდავდნენ. რაღაც მძიმე დარდს შეეპყრო იგი და ღრმა ფიქრს გაეტაცნა.

მაგრამ ეტყობოდა სახეზე, რომ ეს ფიქრი მას მოსვენებას არ აძლევდა, ხანდახან ბრაზობდა კიდევ ბრძენი მეფე გავიდა კარგა ხანი, სოლომონი ისევ იმ მდგომარეობაში იყო.

ვერც ვერავინ უბედავდა ხმის გაცემას... ბოლოს, თითქოს დაიღალა ბევრი ფიქრით, თავი მალლა აიღო და ბძანა:

— დაუძახეთ ჩემს ნაზირ-ვეზირებს... ამ წამსვე აქ გაჩნდნენ...

მორჩილნი და ერთგულნი ყმანი მყისავე გაეშურნენ სასტიკ ბრძანების ასასრულებლად.

არ გასულა დიდი ხანი, მართლაც შეიკრიბნენ ბრძენი მეფის ბრძენივე მრჩეველნი — ნაზირ-ვეზირები.

მხოლოდ უკვირთ უდროოდ როს მიხმობა სადარბაზოდ მოახსენეს მეფეს მათი მოსვლა. ბრძანა დარბაზს მიწვევა.

შემოვიდნენ ყველანი, თავთავისი ადგილი დაიჭირეს. მეფემ მცირე სიჩუმის შემდეგ მოავლო თვალი შეკრებულთ და მიჰმართა:

— ნუ გიკვირთ, რომ ამ უდროოდ როს მოგიწოდეთ სადარბაზოდ. ნურც რამე დიდი სახელმწიფო საქმე გეგონებათ გადასაწყვეტი... მე მოგიწოდეთ აქ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ უნდა დამეხმარნეთ თქვენის სიბრძნით, თქვენის გამოცდილებით, რათა ავხსნა ერთი საიდუმლო, რომელიც მე ვერ ავხსენ, თუმცა დიდხანია ამაზედ ვფიქრობ... თქვენ ყველამ კარგად იცით, თუ ღმერთი რამდენად მწყალობელი მყავს; რაოდენი სიბრძნე მიბოძა... რა არ ვატი, რის გაკეთება არ შემძლიან!? ყველაფრისა... ყველაფერი ვიცი თითქმის... ადამიანის ფიქრის მსვლელობიდან დაწყებული უსულო საგნის არსამდე... მე მესმის თუ რას მოსთქვამს ანკარა ნაკადული, როდესაც მიჩხრიალებს თავის გზაზედ და როგორ ესაყვარლება მის პირად გადაფურჩქენილს ყვავილებს და ბალახებს... მესმის, თუ რას მოსთქვამს ნაზი ბულბული ტურფა ვარდისაგან გულდაკოდილი; მესმის, თუ ცელქ ნიავისაგან ახმაურებული ფოთოლთ კრებული ხშირს ტყეში რასაც ჩურჩულებს—შრიალებს... აგრეთვე პირუტყვთა ენა ჩემთვის ადვილი გასაგებია... ყველაფერი მესმის... ვერაფერი გამოუმეპარება; გაუგებარი, გამოუცნობელი ვერაფერი დამრჩება... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემთვის უცნობია ერთი რამ, ერთი რამ შეადგენს დიდს საიდუმლოს ჩემთვის... არ



ავისოკოუსი კირიონი და არამიანდრითი აბგროსი.

ვიცი არც დღე, არც წამი ჩემის სიკვდილასა... მე კი მსურს, რომ ვიცოდე ყველაფერი... რაკი ეს არ ვიცი, მაშ არც ყველაფერი მცოდნია... მე მინდა ვიცოდე ჩემი სიკვდილის დრო და ჟამი... თქვენგან ველი პასუხს ამის, თქვენ უნდა მომცეთ ამის ახსნა-განმარტება. ვინც ამის პასუხს მომცემს, ვინც ჩემს საიდუმლოს ამიხსნის, ყველაზედ მეტად ავამაღლებ და ჩემს სამეფოში პირველი კაცი იქნება ჩემს შემდეგ.

გაჩუმდა მეფე და პასუხს ელოდა. ბრძენი მრჩეველებიც დიდხანს ჩუმიდნენ ისევე, როგორც სიტყვას უსმენდნენ მეფეს.

ვერაგინ ჰხედავდა ამ საიდუმლოების ახსნას-განმარტებას, თუმცა ჯილდოც დიდი იყო დანიშნული.

ჰხედავს მეფე, რომ არავინ ხმას არ იღებს და ეკითხება:

— ნუ თუ ამდენს ბრძენთა-ბრძენ მრჩეველებში ვერც ერთი ვერ იტყვით რაიმე სანუგეშოს?—

ზოგიერთებმა გაბედეს მოესხენებინათ, რომ მაგ კითხვის გადაწყვეტა შეუძლებელია, მაგ საიდუმლოს ვერავინ ძეხორციელი ვერ ავიხსნის.

ამის გამგონე მეფე უფრო დალონდა და თავი დაჰკიდა. მაშინ წამოდგა ერთი მცხოვანი ბრძენთაგანი და მოახსენა სოლომონს:

— ვარსკვლავო აღმოსავლეთისაო, დიდებულო მეფევე, თუ შენმა ამაღლებულმა და ბრწყინვალე გონებამ ვერ შესძლო მაგ საიდუმლოების ახსნა-განმარტება, უბრალოდ მომაკვდავს როგორღა მოეთხოვება ეგოდენი გონიერება და სიბრძნე; მაგრამ მე—უღირსი მონა შენი — ვკადნიერდები და

მოგახსენებ, რომ მე შემძლიან მაგის პასუხი მოგცეთ, მხოლოდ საქირო იქნება ადამიანის მსხვერპლი.

სოლომონს ამ საიმედო სიტყვებმა ღიმი მოჰგვარეს ბაგებზედ; ცილად გაახარეს. სახე ისე გაუბრწყინდა, ვით ღრუბელ გადაყრილი მთვარე.

— ოლონდ ეს გამოცანა ავხსნა და ადამიანის მსხვერპლი რას მიქვიან! დაიძახა მეფემ.

— სთქვი, სთქვი, რასა თხოულობ, რომ შევასრულო...

— მაშ რაკი მსხვერპლსაც არ დაჰზოგავ, მოახსენა გაბრძნობილმა კარისკაცმა, გთხოვ შემდეგს: უბძანე, იპოვონ ისეთი სრული და მსუქანი კაცი, რომ იმიხთანა მთელს შენს სამეფოში არ მოიპოვებოდეს; მოაყვანინე აქ, მე იმას გულს აჰოვაცილი და იმის გულში აჰოვიკითხავ პასუხს შენი საიდუმლოსას.

მეფემ უმაღ ბრძანება გასცა ამის შესახებ.

## II.

რამდენიმე ხნის შემდეგ, მართლაც, ეპოვნათ და მოეყვანათ ისეთი ზორბა და მსუქანი კაცი, რომ ყველას გაოცებდა მისი სიმსუქნე.





პოეტი ედმონდ როსტანი.

მეფე ისევ თავის დარბაზში ბრძანდებოდა. ნაზირვე-ზირნიც თავმოყრილნი იყვნენ. ყველანი ფიქრობდნენ მოყვანილ კაცის შესახებ, რომ იმაზედ მსუქანი ადამიანი არამც თუ სოლომონის სამეფოში, იქნება დედა-მიწის ზურგზედაც არ იყოსო.

ამიტომაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სულ რამდენიმე წუთის შემდეგ გაიგონებდნენ სანატრელს პასუხს ასეთი მძიმე გამოცანისას.

წამოდგა მცხოვანი ბრძენი და მოახსენა მეფეს:

დიდებულო მეფევ, ერის თვალს სინათლევ! მე დღეს პასუხს ვერ გავცემთ თქვენს კითხვაზედ. აი რატომ: ეს კაცი თუმცა საოცრად მსუქანია და სრული, მაგრამ მაინც ისეთი ვერ არის, როგორც საჭიროა, რომ იყოს. ამიტომ გთხოვ, დიდებულო ხელმწიფეო, ორმოცი დღე შეინახოთ ეს კაცი: აძლიოთ სულ ნარჩევი და სასარგებლო საქმელები; მოუაროთ ისე, რომ არაფერში მაგას რაიმე ნაკლულე-ვანება არა ჰქონდეს, უფრო დასრულდება. მეორმოცე დღეს მოიყვანეთ აქვე. მაშინ სწორედ მზად იქნება. მე მაგას დაეკლავ თქვენს წინაშე, ამოვაცი გულს და მაშინ თქვენც ყველანი ამოიკითხავთ საჭირო პასუხსა...

მეფემ სასტიკი ბძანება გასცა, რომ უკლებლივ აესრულებინათ მცხოვან ბრძენის მოთხოვნილება; არ დაეკლოთ მსუქანი კაცისთვის არც საქმელ-სასმელ და არც სხვანაირად მოვლა-ფარები.

მოყვანილი სამსხვერპლო მსუქანი კაცი იქ იდგა და ყველაფერი ესმოდა.

აქამდის არ იცოდა, თუ რისთვის მოიყვანეს. ეხლაკი გაიგო. გაიგო, ისიც, რომ მეორმოცე დღეს დაჰკლავენ სამსხვერპლო ცხვარივით და გულს ამოაცლიან რაღაც ამბის წასაკითხავად...

III.

დადგა მეორმოცე დღეც. მეფის დარბაზში დიდი კრება იყო. ყველანი სასწაულს ელოდნენ. მეფეც ტახტზედ ბძანდება.

შემოიყვანეს ის მსუქანი და სრული კაცი. მაგრამ ყველა გაცხებული შეჰყურებდა; აღარავისა სჯეროდა, თუ ეს ის კაცი იყო ნამდვილად.

მეფეც განცვიფრებული უყურებდა.

ის სრული და მსუქანი კი აღარ იყო ვარდივით მოღაქ-ღაქე ლოყებით, არამედ გაყვითლებული, გამხდარი და დასნეულებული საბრალო ადამიანი, რომელსაც ქონით სავსე ლამაზის მაჯიერ დაქმუნული და დანაოკებული ტყავიდა ეკიდა ყბას ქვეშ. ისე საშინლად გამოცვლილიყო, რომ ცოცხალს აღარა ჰგავდა.

მეფემ იფიქრა, რომ ჩემი ბძანება ისე არ აუსრულე-ბიათ, როგორც საჭირო იყო და იმიტომ მოჰსვლია ამ კაცს ასეო და გაურისხდა მსახურთ, რომელნიც მიჩენილნი იყვნენ იმ კაცის სასამსახუროდ და საფარეზოდ.

განრისხება არაფერი, დაემუქრა საშინელის წვალებით სიკვდილს.

მაშინ წამოდგა ბძენი მოხუცი და მიჰმართა მეფეს:

— დიდებულო მეფევ, განთქმულო ბრძენთა ბრძენო და მოწყალეო მსაჯულო! ნუ იქნები მკაცრი უღანაშაუ-ლოთა მიმართ. ეგ მსახურნი არაფერში არიან დამნაშავე, მე ეს კარგად ვიცი. მხოლოდ მომისმინეთ. თქვენ ყველას გიკვირთ ის ცვლილება, რაც ამ კაცს დაჰმართნია, ყველანი გაცხებულნი ხართ... მე კი სრულებით არც მიკვირს და არც მაოცებს. მეწინააღვე ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. აი რათა: როდესაც ადამიანმა იცის თავის სიკვდილის დღე და წუთი, როდესაც იგი სთვლის სიკვდილს მოახლოვების წუთებს, ეს დრო მისთვის ყველაფერზედ უსაშინელესი, დასჯაა, მეტის მეტი მძიმე მდგომარეობაა. ეს არის დრო დარდისა და ტანჯვისა; ადამიანს ენანება სიცოცხლე, განვლილი ნეტარება და სიმწარეცა, საზოგადოთ, რაც გადახედია ცხოვრებაში; ყველაფერი ეს უახლოვებს მას სიკვდილს, შეუმჩნევლად დნება სათელივით, ქრება მისი სიცოცხლის ძალა. ადამიანი იმდენად მზადაა და ლაჩარი, იმდენად მშიშარაა, რომ მარტო სიკვდილის გახსენებაზედაც კი სულ ცახცახი და კანკალი ემართება. იმან რომ აღრევე იცოდეს დრო და ჟამი თავის სიკვდილისა, ცხოვრება ასეთივე აღარ იქნებოდა, როგორც ეხლა არის; ხან და ხან მაინც ჰხედავს ნათელს სხივს ნეტარებისას, უშიშრად მიდის წინ, თუმცა ბრმად; არ იცის სად წამოეწევა სიკვდილი. მაგრამ რომ იცოდეს, მისთვის სიცოცხლე შეუძლებელი იქნებოდა, ჯოჯოხეთზედ ათჯერ უარესი: მართალია, ადამიანის კუთაგონება დაუდევარია, მოუსვენარი, სულ წინ მიისწრაფვის; მეტის ცოდნა სურს, ყველაფერი უნდა გაიგოს, თვით საშინელი და საზარელიც კი... ვითარდება და მის განვითარებას დასასრული არ უჩანს; ჩვენ მეტი ვიცით ეხლა, ვიდრე ჩვენმა მამა-პაპამ იცოდა, ჩვენს შვილებსაც ჩვენზედ მეტი ეცოდინებათ; მაგრამ ბუნება და მისი მოვლენანი მაინც იმდენად მრავალ-ფეროვანი და დაუთვლელია, რომ ადამიანის ვრცელსა და ფართო გონებასაც კი ვერ ძალუძს მისი სრულებით შესწავლა და შეთვისება. მრავალი მოვლენა თუ აუხსნია ადამიანს და იცის, უმრავლესი აუხსნელი რჩება და უთვალავი შეუმჩნეველი. მაშ რად გიკვირს, მეფეო, თუ ადამიანმა არ იცის თავის სიკვდილის დღე. არც უნდა იცოდეს მშიშარამ... აი, ამის ცოცხალი მაგალითი...

და მიუთითა ზვარაკად განმზადებულს ჩამომხმარ კაც-ზედ, რომელიც ცოცხალ-მკვდარი ძლივს და იდგა ფეხზედ სიკვდილს მოლოდინში.

ბრძენი მოხუცი დადუმდა.

ყველანი სდუმდნენ...

სოლომონ ბრძენიც სდუმდა...



# ელმონდ როსტანის ახალი პიესა.

გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა ელმონდ როსტანმა დასწერა ლექსად ახალი პიესა „მანტკლერი“. რვა წელიწადი მუშაობდა პოეტი ამ პიესაზე. პიესამ დადგამდევ



ე. როსტანის ახალი პიესა.  
მსახიობი ქალი ხოხბის როლში.

დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია. მთელი საფრანგეთი მოუთმენლად მოელოდა პიესის დადგმას და ამ ორი სამი კვირის წინად, როდესაც იგი წარმოადგინეს, მთელი პარიზი ფეხზე დადგა, თითო ბილეთი სამი-ოთხი თუმანი ღირდა. თეატრმა, რასაკვირველია, ყველა მსურველი ვერ დაიტია. მთელ საღამოს, წარმოდგენის გათავებამდე, თეატრის მახლობელი ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. მოუთმენლად ელოდნენ წარმოდგენის გათავებას და დამსწრეთა გამოსვლას, რომ გამოეკითხნათ ყველაფერი.

პიესის მომქმედ პირებად გამოყვანილია ქათმები, ინდოურები, ბატები, იხვები, ციცირები, შაშვები, ბაყაყები, ძაღლი, კატა და სხვა. მთავარი გმირი მამალია. გაზეთების სიტყვით, როსტანს უნდოდა ამ პიესაში გამოეხატა საფრანგეთის გენიოსობა.

თეატრმა დიდძალი ფული დახარჯა პიესის დასადგმელად. მარტო ფრინველის ფრთების შესაძენად, თუ გაზეთებს დაუჯერებთ, თხუთმეტი ათასი მანეთი დახარჯა. არტისტები ფრინველებად არიან გამოწყობილნი. მამლის როლს ასრულებს ცნობილი მსახიობი-კაცი გიტრი, მის სატრფოს ხოხბის როლს—მსახიობი ქალი სიმონი (იხილეთ სურათები).

ამ პიესაში ავტორმა როსტანმა თეატრისაგან პირველ წარმოდგენამდე ავანსად მიიღო 40,000 მანეთი.



ე. როსტანის ახალი პიესა.  
არტისტი გიტრი მამლის როლში.

\* \* \*  
როცა ბუღბუღი, სევდიოთა კრული,  
მგლოვიარე ხმით დაკენესის სუმბულს,  
ნაზი ზეფირი ნანას უმღერის,  
თავზედ ევლება მდელოს დანამულს;

\* \* \*  
ნადვი მალალი, ჩაყვითლებული,  
ცად ატყორცნილი, როს ჩუმად სტირის  
და მარტოობას, მუდამ ობლობას  
გულ-ჩათხრობილი ზეცას შესჩივის;

\* \* \*  
მაშინ სიმღერა მესმის მწუხარე:  
ხმა კაეშნისა ველს ეფინება  
და ჩემი ჩანგიც მოსთქვამს, ქვითინებს,  
აკენესებული ცრემლებად სდნება.

\* \* \*  
მუდამ ტირილი ხეკდრია ჩემი,  
ვაგლახ, დიდებას არ ვარ მცნობელი:  
დაბადებიდან წილად მშთენია  
აღარ მშორდება შავი ნაღველი.

ტ. ტაბიძე.

## მ ე ლ ო ღ ი ა

\* \* \*

მიყვარს მე ღამე, გულჩახვეული,  
როს ღრუბელთ გუნდი დაჩრდილავს მთვარეს,  
ოდეს ნიავე ჩუმად ქვითინებს,  
იღუმლობა მოიცავს არეს;



ე. როსტანის ახალი პიესა.  
ღრამის ორი მომქმედი პირი—ქათამი და ბატი. ამ სურათებზე სჩანან როლებს ამსრულებელი არტისტებიც.